ხელშეკრულება №

ქ. თბილისი „12“ 10 ” 2020 წ.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი **ზურაბ ვადაჭკორია** (შემდგომში „უნივერსიტეტი“) - ერთი მხრივ და უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ მაგისტრანტი თინათინ ხარებიანი (შემდგომში „მაგისტრანტი“) მეორე მხრივ, შევთანხმდით ხელშეკრულების შემდეგ პირობებზე:

მუხლი1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „უნივერსიტეტი“ იღებს ვალდებულებას „მაგისტრანტი“ უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საფეხურის (მაგისტრატურა) უმაღლესი განათლებით, ხოლო „მაგისტრანტი“ ვალდებულია გადაიხადოს სწავლის საფასური ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და შეასრულოს სხვა ვალდებულებები.

1.2. „უნივერსიტეტსა“ და „მაგისტრანტს“ შორის არსებული ურთიერთობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულების, აგრეთვე საერთაშორისო ნორმების, საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების შესახებ კანონმდებლობის, „უნივერსიტეტის“ წესდების, შინაგანაწესისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

1.3. მხარეები კეთილსინდისიერად იცავენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებსა და ინტერესებს.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 „მაგისტრანტის“ ძირითადი ვალდებულებებია:

ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს სწავლასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ დაკისრებული მოვალეობები, დაწესებულების შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, თსსუ ადმინისტრაციის ადმინისტრაციული აქტები.

ბ) გაუფრთხილდეს დაწესებულების ქონებას;

გ) არ გაამჟღავნოს დაწესებულების კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი დაწესებულებაში საქმიანობის შედეგად;

დ) ეთიკის კოდექსის, წესდების, ან/და შინაგანაწესის მოთხოვნების დარღვევისათვის იკისროს შესაბამისი სამოქალაქო ან/და დისციპლინური პასუხისმგებლობა გადაცდომის შინაარსის გათვალისწინებით;

ე) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

2.2 „უნივერსიტეტის“ ძირითადი ვალდებულებებია:
ა) „მაგისტრანტს“ მისცეს შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის უმაღლესი განათლება;

ბ) „მაგისტრანტი“ უზრუნველყოს სწავლისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

გ) დადგენილი წესით მიანიჭოს შესაბამისი აკადემიური ხარისხი.

2.3. მხარეები ასევე სარგებლობენ იმ უფლებებით და ვალდებულებებით, რაც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ნორმებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს მოქმედი შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 3. სწავლის საფასური

3.1. ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში სამაგისტრო პროგრამის (ორივე სასწავლო წლისათვის) საფასური შეადგენს - ----------7000 (შვიდი ათასი)---------- ლარს (მ.შ. სახელმწიფო დაფინანსება – ----------0---------- ლარს).

3.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3. სწავლის საფასურის გადახდის ვადებად განისაზღვრება შემოდგომის სემესტრში მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი და 01 დეკემბერი, გაზაფხულის სემესტრში - მიმდინარე წლის 15 აპრილი და 01 ივნისი.

3.4. ამ მუხლით განსაზღვრული საფასურის გადახდის წესი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა დამატებითი შეთანხმებით.

3.5. უცხოური ვალუტით დადგენილი სწავლის საფასურის „უნივერსიტეტის“ ანგარიშზე ჩარიცხვა ხორციელდება გადახდის წინა დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის კურსით უცხოურ ვალუტასთან.

3.6. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კვირის განმავლობაში სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მიმდინარე სასწავლო წლის უკვე გადახდილი თანხა ჩაითვლება მომავალი სწავლის საფასურის ანგარიშში.

3.7. „მაგისტრანტის“ მიერ სასწავლო წლის არადამაკმაყოფილებლად დასრულებისა და განმეორებით სწავლებაზე დატოვების შემთხვევაში, „მაგისტრანტი“ სწავლის საფასურს იხდის განმეორებით, შესაბამის სასწავლო წელს დადგენილი საფასურით.

3.8. აკადემიური ჩამორჩენილობის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის, ასევე არაჯეროვანი შესრულებისათვის „უნივერსიტეტიდან“ გარიცხულ მაგისტრანტს გადახდილი სწავლის საფასური არ უბრუნდება.

3.9. საგადასახადო ვალდებულებებს მხარეები ასრულებენ მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. „მაგისტრანტს“ ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა სარგებლობაში გადაცემული „უნივერსიტეტის“ ქონების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობის შენარჩუნებაზე.

4.2. მხარეთა პასუხისმგებლობა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით. „მაგისტრანტს“ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა ამ ხელშეკრულების პირობების, „უნივერსიტეტის“ წესდების ან/და შინაგანაწესის მოთხოვნების ბრალეული დარღვევისათვის.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს შესაბამისი სწავლების საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ვადით.

5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები განისაზღვრება თსსუ-ის წესდებით.

მუხლი 6. განსაკუთრებული პირობები

6.1 „მაგისტრანტის" სტატუსის შეჩერება დასაშვებია თსსუ-ის წესდებითა და თსსუ-ის შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას;
7.2 შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით;
7.3 ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
7.4 მხარეები დავას გადაწყვეტენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი და მხარეთა რეკვიზიტები

8.1 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად. ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;
8.2 ხელშეკრულების თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.
8.3 მხარეთა რეკვიზიტები:

„უნივერსიტეტი"

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორი

ზ. ვადაჭკორია

0186, საქართველო, ქ. თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. №33

„მაგისტრანტი"

სახელი, გვარი თინათინ ხარბიანი

მისამართი ბუკან კალოუბნის ქ. 1/15. ბ. 83

ტელ. № 577055576

ხელმოწერა

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
სახაზინო კოდი (ანგარიშის ნომერი) 708987289
საიდენტიფიკაციო კოდი 211328703